**განმარტებითი ბარათი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის AR1731762 განცხადებაზე თანდართულ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის 19/03/2020 MIA 9 20 00714848 წერილთან მიმართებაში**

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2019 წლის 16 თებერვალს დარეგისტრირდა AR1661794 განაცხადი, ლადო ასათიანის ქუჩა N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.03.068.003) მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შეფასება, საექსპერტო დასკვნის სახით.

არქიტექტურის სამსახურის 17.03.2020 №4903356 გადაწყვეტილებაზე თანდართულ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამსახურის19/03/2020 MIA 9 20 00714848 წერილთში დადგენილი ხარვეზის შესახებ განვმარტავთ შემდეგს:

**ხარვეზი1.** შენობის -7.10 ნიშნულზე სატუმბო სადგურის მოწყობა დაუშვებელია, 1. სატუმბო სადგურის მოწყობა შეიძლება შენობის პირველ ან ცოკოლის სართულზე, შენობასთან ცალკე მდგომ სათავსში და შენობის ტერიტორიაზე (სატუმბო სადგური სარდაფის სართულზე განთავსების შემთხვევაში უნდა მოეწყოს კიბის უჯრედთან ან უშუალოდ გარეთ გასასვლელთან).

**განმარტება: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გავლილი კონსულტაციის შესაბამისად დაკორექტირდა სახანძრო ტუმბოსა და ავზის ადგილმდებარეობა შენობაში. სახანძრო ტუმბოს ოთახის განთავსება მოხდა კიბესთან ახლოს, მათ მიერ მითითებულ ადგილზე.**

**ხარვეზი2.** ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების

დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომლებიც მათ შორის უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და
ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების სისტემის მოწყობის პროექტს.

**განმარტება: არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ, დამკვეთის მიერ განხორციელდება მოთხოვნილი საინჟინრო პროექტების შედგენა და მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 3 თვის ვადაში წარდგენილი იქნება სახანძრო სამსახურში განსახილველად.**

პატივისცემით:

სახანძრო უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

დამკვეთი:

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 20 00714848

19/03/2020

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსის)
ბატონ **კონსტანტინე ღვინჯილია**

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2020 წლის 17 მარტის N 60-01200771237 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.03.068.003) მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად არქიტექტურული პროექტის, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული წესებისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას. კერძოდ:

**1.** შენობის -7.10 ნიშნულზე სატუმბო სადგურის მოწყობა დაუშვებელია, სატუმბო სადგურის მოწყობა შეიძლება შენობის პირველ ან ცოკოლის სართულზე, შენობასთან ცალკე მდგომ სათავსში და შენობის ტერიტორიაზე (სატუმბო სადგური სარდაფის სართულზე განთავსების შემთხვევაში უნდა მოეწყოს კიბის უჯრედთან ან უშუალოდ გარეთ გასასვლელთან).

**2.** ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს, სამსახურს

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომლებიც მათ შორის უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების სისტემის მოწყობის პროექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ